სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „გორდა“-ს (ს/კ: 406153763) დირექტორის
ვახტან ხოჭოლავას (პირადი # 01010007686)

განცხადება

(თანხმობა)

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 21 აპრილსს დადებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შპს „გორდა“-ის (ს/კ 406153763) საკუთრებაში არსებული 228.21 კვ.მ-ის არასაცხოვრებელი ფართის, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა ქინძმარაული, 3, - ის მიმდებარედ საკადასტრო კოდი: 01.19.33.002.043 (შემდგომში „საიჯარო ქონება“) დროებით სარგებლობაში გადაეცა შპს „ნიკორა ტრეიდს“ (ს/კ 206255808).

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებთ, რომ ზემოაღნიშნულ ფართზე, შპს „ნიკორა ტრეიდმა“ (ს/კ 206255808) თავისი შეხედულებისამებრ, კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, განახორციელოს შიდა და გარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სხვა ისეთი ქმედებები, რაც დაკავშირებულია მის კომერციულ საქმიანობასთან, აგრეთვე მოახდინოს ფასადის ცვლილება/მოპირკეთება (მათ შორის მოაწყოს ღიობები, ვიტრაჟები, კიბეები), განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობლები, კონდინციონერები და სხვა საჭირო ინვენტარი, აგრეთვე უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ნებართვების მიღება.

შპს „გორდა“-ის (ს/კ 406153763) დირექტორი
ვახტან ხოჭოლავა (პირადი # 01010007686)

ვახტანგ ხოჭოლავა
04.05.2017წ.

ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერა [ფორმულარი]

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოთხ მაისს მე, საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. N19, მომმართა: ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ, რომელმაც წარმოადგინა განცხადება [04.05.2017წ.] და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ [დაბ: 21.02.1961წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზ. N 18 კორ. 1 ბ. 9; პ/ნ 01029000588. ბარათის ნომერი 13II29518. მოქმედების ვადა: 27.02.2025წ.] მომმართა.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია განცხადების [04.05.2017წ.] შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი განცხადებაზე [04.05.2017წ.], რომელიც თან ერთვის სანოტარო ფორმულარს.

ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ განცხადებაზე [04.05.2017წ.] მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა განცხადებაში [04.05.2017წ.] მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვიდობას.

მე მას აგრეთვე განუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

დამოწმებულია თითო ეგზემპლარზე ერთი ხელმოწერა, სულ დამოწმებულია ორი ხელმოწერის ნამდვილობა განცხადების ორ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების [29.12.2011 წ.] 31-ე მუხლის საფუძველზე 4.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 0.72ლარი, ჯამში: 6.72ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
მეგი მაღალდაძე





სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170475527
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.05.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მეგი მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2967042
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	95486568975517

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18